აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

01- 04/40 6.06.2019

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგიერთი ფაკულტეტის საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობის, აკადემიური პერსონალის წარმომადგენელთა ფაკულტეტის საბჭოში არჩევნების ჩატრების თარიღისა და ადგილის, კანდიდატთა რეგისტრაციის ვადებისა და კანდიდატის მიერ წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ

ს ს ი პ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №132/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდებისა და ს ს ი პ -აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კოდექსისა და შესაბამისი ფაკულტეტების დებულებების შესაბამისად ვბრძანებ:

მუხლი 1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობა განისაზღვროს 21 წევრით. საბჭოს შემადგენლობაშია: ფაკულტეტის დეკანი, სტუდენტი - 5, აკადემიური პერსონალი - 14; მათ შორის ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები:

ა) ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი - 3 წევრი

ბ) ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტი - 3 წევრი

გ) გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტი - 1 წევრი

დ) რომანული და კლასიკური ფილოლოგიის დეპარტამენტი - 1 წევრი

ე) აღმოსავლური ფილოლოგიის დეპარტამენტი - 1 წევრი

ვ) სლავური ფილოლოგიის დეპარტამენტი - 2 წევრი

ზ) ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტი - 3 წევრი

თ) ფილოსოფია - ფსიქოლოგიის დეპარტამენტი - 1 წევრი

მუხლი 2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო განისაზღვროს 17 წევრით. საბჭოს შემადგენლობაშია: ფაკულტეტის დეკანი, სტუდენტი - 4, აკადემიური პერსონალი - 12; მათ შორის ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები:

ა) სამართლის დეპარტამენტი - 2 წევრი;

ბ) ეკონომიკის დეპარტამენტი - 2 წევრი;

გ) ბიზნესის ადმინისტრირების - 6 წევრი;

ე) სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი -2 წევრი.

მუხლი 3. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის საბჭო განისაზღვროს 9 წევრით. საბჭოს შემადგენლობაშია: ფაკულტეტის დეკანი; სტუდენტი - 2; აკადემიური პერსონალი - 6; მათ შორის ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები:

ა) პედაგოგიკის დეპარტამენტი - 2 წევრი;

ბ) სწავლების მეთოდიკის დეპარტამენტი - 4 წევრი.

მუხლი 4. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო განისაზღვროს 21 წევრით. საბჭოს შემადგენლობაშია: ფაკულტეტის დეკანი, სტუდენტი - 5, აკადემიური პერსონალი - 15; მათ შორის ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები:

ა) მათემატიკის დეპარტამენტი - 4 წევრი;

ბ) ფიზიკის დეპარტამენტი - 1 წევრი;

გ) ქიმიის დეპარტამენტი - 2 წევრი;

დ) ბიოლოგიის დეპარტამენტი - 4 წევრი;

ე) გეოგრაფიის დეპარტამენტი - 1 წევრი;

ვ) კომპიუტერული (ინფორმაციული) ტექნოლოგიების დეპარტამენტი - 3 წევრი;

მუხლი 5. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის საბჭოს წევრთა საერთო

რაოდენობა განისაზღვროს 17 წევრით. საბჭოს შემადგენლობაშია: ფაკულტეტის დეკანი, სტუდენტი - 5,

აკადემიური პერსონალი - 11; მათ შორის ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები:

ა) მშენებლობისა და ტრანსპორტის დეპარტამენტი - 5 წევრი;

ბ) მექანიკა-მანქანათმშენებლობის დეპარტამენტი - 4 წევრი;

გ) ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების დეპარტამენტი - 2 წევრი.

მუხლი 6. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის საბჭო განისაზღვროს 10 წევრით. საბჭოს შემადგენლობაშია: ფაკულტეტის დეკანი; სტუდენტი - 2; აკადემური პერსონალი - 7; მათ შორის ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები:

ა) სტომატოლოგიისა და ფარმაციის დეპარტამენტი - 2 წევრი;

ბ) კლინიკური მედიცინის დეპარტამენტი - 5 წევრი.

მუხლი 7. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის საბჭო განისაზღვროს 10 წევრით, საბჭოს შემადგენლობაშია: ფაკულტეტის დეკანი, სტუდენტი - 3, აკადემიური პერსონალი - 6; მათ შორის ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები:

ა) ქიმიური და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების დეპარტამენტი - 3 წევრი;

ბ) საკვები პროდუქტების დეპარტამენტი - 1 წევრი;

გ) დიზაინისა და ტექნოლოგიის დეპარტამენტი - 2 წევრი.

მუხლი 8. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზღვაო - სატრანსპორტო ფაკულტეტის საბჭო განისაზღვროს 5 წევრით. საბჭოს შემადგენლობაშია: ფაკულტეტის დეკანი, სტუდენტი - 1, აკადემიური პერსონალი - 3; მათ შორის ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები:

ა) საზღვაო გადაზიდვების ორგანიზაცია და მოდელირება - 1

ბ) ბიზნესის მართვა - 1

გ) საინჟინრო მექანიკა - 1

მუხლი 9. ამ ბრძანებით განსაზღვრული ფაკულტეტების საბჭოებში აკადემიური პერსონალის წარმომადგენელთა არჩევნები ჩატარდეს 2019 წლის 10 ივლისს. ფაკულტეტების მიხედვით არჩევნები ჩატარდეს შემდეგ აუდიტორიებში:

ა) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე - აუდიტორია № 3316 (მისამართი: ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №59);

ბ) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე - აუდიტორია № 4402 (მისამართი: ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №59);

გ) საინჟინრო-ტექნიკურ ფაკულტეტზე - აუდიტორია №101 (მისამართი: ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი №98)

დ) ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე - აუდიტორია №1212 (მისამართი: ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №59);

ე) საინჟინრო-ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე - აუდიტორია №213 (მისამართი: ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი, მე-2 შესახვევი №24)

ვ) მედიცინის ფაკულტეტზე - აუდიტორია №303 (მისამართი: ქუთაისი, ახალგაზრდობის პრ. №98);

ზ) პედაგოგიურ ფაკულტეტზე - აუდიტორია №2405 (მისამართი: ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №59);

თ) საზღვაო - სატრანსპორტო ფაკულტეტზე - აუდიტორია №1 - სააქტო დარბაზი (მისამართი: ფოთი, 9 აპრილის ხეივანი №11)

მუხლი 10. ფაკულტეტის საბჭოებში აკადემიური პერსონალის მიერ ასარჩევ წარმომადგენელთა (კანდიდატთა) რეგისტრაცია იწარმოებს 2019 წლის 25 ივნისიდან 2019 წლის 4 ივლისის ჩათვლით. კანდიდატთა რეგისტრაცია და დოკუმენტების მიღება იწარმოებს 10^{00} საათიდან 15^{00} საათამდე. კანდიდატთა რეგისტრაციას და დოკუმენტების მიღებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა № 59, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, პირველი სართული, ოთახი № 1138.

მუხლი 11. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში კანდიდატმა (აკადემიურმა პერსონალმა) უნდა წარმოადგინოს:

ა) პირადი განცხადება კანდიდატად რეგისტრაციის შესახებ;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) ცნობა უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების სამსახურიდან დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესახებ.

მუხლი 12. ცნობად იქნეს მიღებული, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ფაკულტეტების საბჭოების შემადგენლობაში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა განისაზღვრება საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ¼-ით.

მუხლი 13. ცნობად იქნეს მიღებული, რომ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა არჩევნები ფაკულტეტის საბჭოებში ჩატარდა 2018 წლის ნოემბერ-დეკემბერში.

მუხლი 14. ეთხოვოს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობას შესაბამისობაში მოიყვანოს ფაკულტეტის საბჭოში მათ მიერ არჩეულ წევრთა რაოდენობა. იმ შემთხვევაში, თუ ფაკულტეტის საბჭოში არჩეულია სტუდენტთა ამ ბრძანებით დადგენილ რაოდენობაზე მეტი სტუდენტი, მაშინ საბჭოს შემადგენლობაში უნდა დარჩეს არჩევნების დროს მიღებულ ხმათა რაოდენობის მიხედვით საუკეთესო შედეგის მქონე სტუდენტები შესაბამისად უფლებამოსილება შეუწყდეს, რომელმაც მიიღო ხმების ნაკლები რაოდენობა; თუ ხმები თანაბარია, ტარდება წილის ყრა. იმ შემთხვევაში, თუ არჩეულ პირთა რაოდენობა ნაკლებია ამ ბრძანებით დადგენილ სტუდენტთა რაოდენობაზე, მაშინ სტუდენტთა თვითმმართველობა უზრუნველყოფს დარჩენილ რაოდენობაზე არჩევნების ჩატარების ორგანიზება.

მუხლი 15. უნვერსიტეტის საარჩევნო კომისიამ უზრუნველყოს:

ა) ამ ბრძანებით და შესაბამისი სამართლებრივი აქტების საფუძველზე არჩევნების ორგანიზებულად ჩატარება;

ბ) შესაბამისი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცება.

მუხლი 16. უნივერსიტეტის ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურმა საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების ორგანიზებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვიდან გამომდინარე, უზრუნველყოს შესაბამისი ხარჯების გამოყოფა.

მუხლი 17. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

მუხლი 18. უნივერსიტეტის კანცელარიამ უზრუნველყოს ამ ბრძანების საინფორმაციო დაფაზე განთავსება და უნივერსიტეტის შესაბამისი სტურუქტურული ერთეულებისათვის გადაცემა. . ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ- გვერდზე განთავსება დაევალოს მარკეტინგის, პროექტების და ღონისძიებების მართვის სამსახურს.

მუხლი 19. უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, მედიცინის, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, საინჟინრო-ტექნოლოგიური, ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა, საინჟინრო-ტექნიკური და პედაგოგიური ფაკულტეტების დეკანებმა უზრუნველყონ ამ ბრძანების გაცნობა შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისათვის და ამ ბრძანების ფაკულტეტების საინფორმაციო დაფაზე გამოკვრა.

მუხლი 20. დადგენილება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

უნივერსიტეტის რექტორი: /როლანდ კოპალიანი/

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე: / მინდია ბერეკაშვილი/